საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

17 დეკემბერი, 2018 წელი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №2/18-1
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 05 იანვრის №-- საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად 2018 წლის 14 ნოემბერს მომზადებული №2/18 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 17 დეკემბრის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის მითითებით, მოსამართლემ უკანონოდ დააკისრა მხარეს სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლე -- -- არ დააკმაყოფილა მხარის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების თაობაზე, რადგან მოპასუხეები მოსამართლის ოჯახის წევრები იყვნენ. არ გადადო საქმის განხილვა ადვოკატის საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო და ადვოკატის დასწრების გარეშე ჩაატარა სხდომა. ამასთან, არ გაითვალისწინა წარდგენილი მტკიცებულებები, მხარის ახსნა-განმარტება და მიიღო უკანონო გადაწყვეტილება.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2016 წლის 08 აპრილს -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა -- -- მოპასუხე -- -- და -- -- მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

-- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილებით (მოსამართლე -- --) მოსარჩელეს უარი ეთქვა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე; -- -- დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა 310.35 ლარის ოდენობით.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა -- -- 2018 წლის 07 აგვისტოსა და 15 აგვისტოს.

-- სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 28 სექტემბრის განჩინებით (მოსამართლე -- --) -- -- შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟისგან გათავისუფლების შესახებ არ დაკმაყოფილდა; -- -- სააპელაციო საჩივარზე დაუდგინდა ხარვეზი და ხარვეზის შევსების მიზნით დაევალა სახელმწიფო ბიუჯეტში ბაჟის სახით 180 აშშ დოლარის, შესაბამისი ექვივალენტი ლარის გადახდა, გადახდის დროისათვის არსებული დოლარის ოფიციალური კურსის შესაბამისად გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედნის წარდგენა სასამართლოში.

-- სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 09 ოქტომბრის განჩინებით (მოსამართლე -- --) -- -- სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

-- სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებით (მოსამართლეები - -- --, -- --, -- --) -- -- სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხეებს -- -- და -- -- -- -- სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ ზიანის ანაზღაურების სახით 3700 აშშ დოლარის გადახდა; მოპასუხეებს -- -- და -- -- სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ ექსპერტიზის ჩასატარებლად გაწეული ხარჯის, ასევე მტკიცებულებების მოპოვებისთვის გაწეული ხარჯის ანაზღაურება - 100 ლარის ოდენობით; მოპასუხეებს -- -- და -- -- სარჩელზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის სახით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრათ 254 ლარის გადახდა; -- -- სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა სარჩელზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის სახით - 56 ლარის გადახდა; სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანგარიშში მოპასუხეებს -- -- და -- -- სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 332 ლარის გადახდა.

3. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1]-ე მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო ხარჯებს შეადგენს სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები. საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯების გაანგარიშების წესი და მათი ოდენობა განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლდებიან მოსარჩელეები დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების შესახებ სარჩელებზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს, მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, თუ მოქალაქე დაასაბუთებს სასამართლო ხარჯების გადახდის შეუძლებლობას და სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს, შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, რის თაობაზეც მოსამართლეს გამოაქვს მოტივირებული განჩინება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლით გათვალისწინებული სასამართლო ხარჯების გადახდისგან გათავისუფლების შესაძლებლობა არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს მხარის მიერ წარდგენილი უტყუარი მტკიცებულებების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე შეექმნება შინაგანი რწმენა მხარის მძიმე ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, კერძოდ, რომ მას სახელმწიფო ბაჟის გადახდა არ შეუძლია. მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის საფუძველზე მხარის ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება მოსამართლის უფლებამოსილებაა და არა ვალდებულება. ბაჟისაგან მხარის გათავისუფლების საკითხს მოსამართლე წყვეტს შინაგანი რწმენისა და წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე.

დადგენილია, რომ -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილებით (მოსამართლე -- --) -- -- დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა 310.35 ლარის ოდენობით.

მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, ისევე როგორც ,,სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონი კონკრეტულად განსაზღვრავს იმ შემთხვევებს, რა დროსაც მხარე თავისუფლდება სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლით გათვალისწინებული ტერმინი „დანაშაული" გულისხმობს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებას და აღნიშნული ტერმინი არ მოიაზრებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას. შესაბამისად, მხარე აღნიშნული მუხლის საფუძველზე ვერ განთავისუფლდებოდა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. ამდენად, სახელმწიფო ბაჟი მხარეს კანონით დადგენილი წესით დაეკისრა.

რაც შეეხება, მხარის მითითებას ადვოკატის დასწრების გარეშე სხდომის გამართვის თაობაზე, აღნიშნულთან მიმართებით მნიშვნელოვანია, რომ 2017 წლის 17 ივლისის სხდომაზე არ გამოცხადდა მოსარჩელის წარმომადგენელი. აღსანიშნავია, რომ წარმომადგენლის ინსტიტუტის არსებობა მნიშვნელოვანია იმდენად რამდენადაც, მხარეს რომელიც ვერ ახერხებს სხდომაზე დასწრებას ან არ სურს საქმის განხილვაში პირადად მონაწილეობის მიღება, მიეცეს შესაძლებლობა დაიცვას თავისი ინტერესები ადვოკატის/წარმომადგენლის მეშვეობით. მოცემულ შემთხვევაში სხდომაზე გამოცხადდა მოსარჩელე -- --, რომელსაც წარმომადგენლის გამოუცხადებლობის გამო სხდომის გადადების თაობაზე სასამართლოს წინაშე არ უშუამდგომლია. შესაბამისად, მოსამართლე სხდომას მხარის მოთხოვნის გარეშე ვერ გადადებდა. ამდენად, ამ მიმართებით მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი არ დასტურდება.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75^{10}-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, მოსამართლე -- -- შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ, შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასებების შედეგად, გამოტანილი

გადაწყვეტილების კანონიერებაზე. გადაწყვეტილების ამ მხრივ შეფასება მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

რაც შეეხება მხარის მტკიცებას მოსამართლისა და მოპასუხის ნაცნობობის თაობაზე, აღნიშნულთან მიმართებით მნიშვნელოვანია, რომ საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებების სრულყოფილი შესწავლის მიზნით, კერძოდ იმის დასადგენად რა ურთიერთობა აქვს მოპასუხე მხარეს მოსამართლესთან, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მიერ გამოიკითხა -- -- და -- --. აღნიშნულ პირებს საქმეში მოპასუხის სტატუსი აქვთ. როგორც -- --, ისე -- -- გამოკითხვის დროს განაცხადეს, რომ მოსამართლეს არ იცნობენ. -- -- თქმით პროცესებს უძღვებიან მისი ადვოკატები და არანაირი შემხებლობა არ აქვს მიმდინარე საქმესთან. არ იცის ვინ არიან მოსამართლეები. ამასთან, აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მისი მამა - -- -- ყოფილი მოსამართლეა მამისა და მოსამართლეთა ნაცნობობის შესახებ არანაირი ინფორმაცია მას არ გააჩნია, ხოლო -- -- განმარტებით არანაირი შემხებლობა მოსამართლეებთან არ აქვს და არც ჰქონია.

ამდენად, მოპასუხე მხარისა და მოსამართლე -- -- შორის ნათესაური კავშირის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოძიებული ვერ იქნა. ოჯახის წევრობის ან ნათესაური კავშირის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება არც საჩივრის ავტორს წარმოუდგენია.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის ,,ა ქვეპუნქტის შესაბამისად, მოსამართლის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2018 წლის 17 დეკემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14

წევრთაგან 14 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №2/18-1 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი